

„ტელიმედის“ დირექტორს
ნ. ლ.-ს

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N5

რეკომენდაცია

განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ნ.,

2020 წლის 24 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N4842/20) მომართეს ა. ც.-მ, ნ. კ.-მ, ნ. შ.-მა, გ. ბ.-მ და მ. მ.-მა. განმცხადებლების ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტი - თეონა ზაქარაშვილი.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია რამდენჯერმე გამოითხოვა შპს „ტელიმედიდან“ და შპს „სტუდია მანსტროდან“. ამასთან, წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინეს *მესამე პირებმა* - „ტელიმედის“ დირექტორის მოადგილემ - მ. ლ.-მ და „ბიზნესის“ რედაქციის ახალმა ხელმძღვანელმა - გ. ნ.-მა.

იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებლები დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს პირდაპირ არ ასახელებენ, წინამდებარე გადაწყვეტილებაში, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის განხილვისას, სახალხო დამცველი შეამოწმებს *ა. ც.-ს* გადაცემის წამყვანობაზე უარის თქმა განპირობებული იყო თუ არა მის მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულებების გამო.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლების პოზიცია

ა. ც., ნ. კ., ნ. შ., გ. ბ., და მ. მ. (შემდგომში განმცხადებლები) წარმოადგენდნენ „ტელიმედის“ ბიზნესის რედაქციის გუნდს და ამზადებდნენ გადაცემას „ბიზნესი.“ აღნიშნული გადაცემა გადიოდა ტელეკომპანია „მანსტროს“ ეთერში. განმცხადებლები განმარტავენ, რომ გადაცემა „ბიზნესი“ მზადდებოდა 2017 წლიდან და *უმეტესობა მათგანთან¹* გაფორმებული იყო განუსაზღვრელი ვადით შრომის ხელშეკრულება. განმცხადებელთა ფუნქციები იყო შემდეგი: ა. ც. - ბიზნესის რედაქციის აღმასრულებელი პროდიუსერი/„ბიზნესის“ წამყვანი; ნ. კ. -

¹ *შენიშვნა:* იგულისხმება ა. ც., მ. მ., ნ. შ..

„ბიზნესის“ პროდიუსერი; ნ. შ. - „ბიზნესის“ ჟურნალისტი; გ. ბ. - „ბიზნესის“ ჟურნალისტი; მ. მ. - „ბიზნესის“ ჟურნალისტი. 2020 წლის 19 თებერვალს „ტელეიმედის“ ხელმძღვანელობამ მათ აცნობა გადაცემა „ბიზნესის“ დახურვის შესახებ. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობის დაცვა საფუძვლად დაედო მათ წინააღმდეგ დევნას. ისინი აღნიშნავენ, რომ „ტელეიმედის“ ხელმძღვანელობამ იძულებული გახადა დაეწერათ განცხადებები სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. კერძოდ, განმცხადებლებმა 2020 წლის 18 მარტს მიმართეს „ტელეიმედის“ გენერალურ დირექტორს და 1 აპრილიდან ითხოვეს მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა.

განხორციელებული სავარაუდო დევნის დასადასტურებლად განმცხადებლებმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინეს აუდიო ჩანაწერები, ელექტრონული შეტყობინებები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც აღწერს გადაცემის დახურვამდე და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

2019 წლის 24 დეკემბერი²

განმცხადებლის განმარტებით, პირველი შეხვედრა შედგა ნ. ლ.-ს თხოვნით და მან გააკრიტიკა რიგი სიუჟეტები, რომლებიც მისი თქმით „კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ“.

ნ. ლ.: „შეგდივართ აქტიური ომის ფაზაში, ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე, დაწყებული“...

ა. ც.: „ჩვენ არ ვართ ფრონტის ხაზზე“

ნ. ლ.: „არ შეიძლება თქვა რომ შენ არ ხარ ფრონტის ხაზზე, როცა შენი ჯარი, მე ვარ შენი ჯარი, ჩვენ „იმედი“ ვართ ერთი გუნდი, ჩვენ თუ ვომოზთ, შენ თქვა მე არ ვომოზ - ეგ არის დეზერტირობა, მაგას ჰქვია დეზერტირობა“

ა. ც.: „მაშინ სხვადასხვა რაღაცას ვფიქრობთ ესე გამოდის“

ნ. ლ.: „შენ ხარ იმედის ნაწილი ხარ, ხარ?“ „აგნობიერებ რომ შენ ხარ იმედელი?“

ა. ც.: „უი, ოღონდ იმედის ნაწილი გავხვდი არა იმიტომ რომ ვილაგამ თავის დროზე დამასაქმა, რომ რაღაც ბრძოლაში უნდა ჩავბმულიყავი, დამასაქმა ჩემი პროფესიული სქილების ხარჯზე და იმ პროდუქტის საკეთებლად რასაც ვაკეთებ. მეგონი ცუდად არ ვაკეთებ“.

ნ. ლ.: „შენ დაგასაქმეს იმის გამო, რომ ხარ მაგარი პროფესიონალი, შენ შემოხვედი ამ ორგანიზაციაში, ეს ორგანიზაცია ჩება ბრძოლაში, რომლის ყველა მოწინააღმდეგე ეხლა დამდგარია და ურტყამს „იმედს“, „იმედი“ არის ბოლო ციტადელი მაგათთვის - ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის, როგორც ბიზნესს კონკურენტებისათვის - „მთავარი არხი“, „რუსთავი 2“ და ა.შ. ნუ ძირითადად „მთავარი არხი“, ასევე პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის, ვისაც ჩვენი სარედაქციო პოლიტიკა არ მოსწონს. ამ ომშია მთელი ორგანიზმი ხვდები.... შენ თუ ამზობ რომ პაციფისტი ხარ, მე არ ვამზობ რა“

ა. ც.: „ჩემთვის ოფერი, რომ რამე ომში უნდა ჩავბმულიყავი არ ყოფილა, ეს არის პირველი დღეს, მოდი გადავწყვიტოთ მინდა თუ არა ვიომო“

ნ. ლ.: „მე მესმის რომ მაშინ ამას არავინ შემოგთავაზებდა, მაშინ არ იყო ომი, ომი ეხლა დაიწყო“

ნ. ლ.: „მათ შორის მთავარი დარტყმა იქნება ეკონომიკურ თემებზე“

ა. ც.: „ძალიან მარტივად ვიტყვი რა, მე არაფერს არ გავაპრავებ არასდროს, არც ოპოზიციურს და არც არა პოზიციურს, გავაშუქებ ყველაფერს ისე, როგორც სწორად მიმაჩნია ჩემი ეკონომიკური-ჟურნალისტური განათლებიდან და ამ მიმართულებით გარკვეულ ცვლილებებს არ ვგეგმავ, რაღაც აქცენტი, რომ შეიძლება იყოს შერბილებული მაგაზე არ მაქვს პრობლემა, მაგისი თქმა ყველანაირი ფორმით შეიძლება, ისეთითაც, მათ შორის, რომ კაციშვილი ვერ მიხვდება რა თქვი, მაგრამ ფრონტის ხაზზე ყოფნას და ხმალამოღებული ბრძოლა ჩემი საქმე მგონი რომ არ არის“

²შენიშვნა: წარმოდგენილია მხარეთა საუბრის ძირითადი ნაწილის ტრანსკრიპტი; შეხვედრა გაიმართა ა. ც.-ს - „ბიზნესის“ რედაქციის აღმასრულებელ პროდიუსერსა და გადაცემა „ბიზნესის“ წამყვანს და ნ. ლ.-ს - „ტელეიმედის“ დირექტორის მოადგილეს (იმ პერიოდისთვის) შორის.

- ბ. ლ.: „სამწუხაროა, ანუ შენ კორპორატიული სოლიდარობა არა გაქვს“
- ა. ც.: „აბსოლუტურად მაქვს კორპორატიული სოლიდარობა პროფესიონალური ოღონდ და მგონია რომ ფრონტის ხაზზე ყოფნა და ბრძოლა სრულიად სცილდება პროფესიონალიზმს, მათ შორის, ჟურნალისტურსაც“
- ბ. ლ.: „გეთანხმები კი სცილდება“.....
- ა. ც.: „ძალიან სამწუხარო ახლა ის არის, რომ აი, ამაზე ვსაუბრობთ, ადამიანს რომელსაც აბსოლუტური განწყობა აქვს რომ ამ ტელევიზიისათვის შექმნას კარგი პროდუქტი და მეტ-ნაკლებად „მაესტროსაც“ გაეზარდოს რეიტინგი რაღაც თვალსაზრისით, რაღაცნაირად უბიძგებთ რომ იფიქროს სხვაგან წასვლაზე და შესაძლოა მერე საერთოდ სხვა კონკურენტში გადასვლაზე, აი, არ ვიცი რატოა ესე“.
- ა. ც.: „ჟურნალისტები რატომ უნდა იბრძოდნენ შეიძლება გავიგო“
- ბ. ლ.: „იმიტომ, რომ შენ გებრძვიან“
- ა. ც.: „მე პირადად არავინ არ მებრძვის“
- ბ. ლ.: „ხო, პირადად ა.ს არავინ არ ებრძვის, მაგრამ ებრძვიან არხს“
- ა. ც.: „ვინმე გვივარდება ტელევიზიაში და გვანგრევს“
- ბ. ლ.: „კი, მაგალითად, ნ. გ., ნ. გ. ყოველდღე, მთელი „მთავარი არხი“ მომართულია იქითკენ, რომ მოახდინოს დისკრედიტაცია „იმედის“, ებახიან „ნამუყდა“ რაღაც სისულელეებს, ფეისბუქში არის გაშლილი ფრონტი“
- ა. ც.: „ამის მაგივრად რომ ჩვენ აქეთ ვებრძოლოთ, ხომ არ ჯობია რომ ამის მიზეზი საერთოდ გავაქროთ“
- ბ. ლ.: „მე არაფერს არ ვებრძვი, მე მინდა, რომ მისი ფეიკები და გვებრძვიან სულ ფეიკი იარაღით,მე მისი ფეიკი უნდა გავაბათილო და უნდა ვამხილო, რომ ეს ფეიკია, ეს არის ამოცანა“
- ა. ც.: „მე ხომ ნ. გ.-სთან საქმე არ მაქვს“
- ბ. ლ.: „როდესაც ნ. გ. ამოტრიალებულ ციფრს აჩვენებს, კარგი რეიტინგი თუ გამოქვეყნდა იმას არ აჩვენებს და ცუდი თუ გამოქვეყნდა იმას აჩვენებს“
- ა. ც.: „ჩვენ ორივეს ვაჩვენებთ და მგონი ეგ არის სხვაობა ჩვენს შორის“
- ბ. ლ.: „ვინ გეუბნება რომ ცუდი არ აჩვენოთ? მე გეუბნები ერთ რაღაცას სიტყვა „ბალანსი“ ავტომატურად გულისხმობს, ეს არხი იყო დაბალანსებული სანამ ჩვენ ჩაგვათრევდნენ ამ ომში. ეხლა ამ არხს გაუჩნდა პოზიცია - ანუ არის მიკერძოებული - ეს პოზიცია არის ანტი ნაციონალური მოძრაობის პოზიცია. ძალიან მეაფიო პოზიცია აქვს რა. ამ არხს გაუჩნდა პოლიტიკა - ანუ სუნი, ფერი, გემო, რაც აქამდე არ ჰქონდა, იყო სტერილური და დაბალანსებული.“ანუ არხი ახდენს პოზიციონირებას ყველა თავის გადაცემაში. მთავარი არის ბრძოლა, ნაციონალური მოძრაობის უკან მოზრუნებასთან - ეს არის არხის მისია“..... თუ ჩვენ არ დავდექით ეს ძალა ბრუნდება...და რისი მეშვეობით ბრუნდება? „მთავარი არხის“
- ა. ც.: „იქნებ მთავრობის შეცდომების მეშვეობით“
- ბ. ლ.: „ეგეც, რა თქმა უნდა... მე მინდა შენ გაგაგებინო არხის მისია რა არის, რა გახდა მას შემდეგ რაც შენ აქ მოხვედი“
- ა. ც.: „არ ვიტყვი არასდროს ტყუილს“
- ბ. ლ.: „ეს რა მანტრია ვერ ვხედავ... მომიწონა ძალიან, რომ არ იტყვი ტყუილს, ტყუილს ამზობს გვარამია, ჩვენ არ ვიტყვით ტყუილს, ჩვენ ვიტყვით სიმართლეს,....მე შენ აგიხსენი რა არის შენი არხის მისია და ამ მისიაზე არის დაფუძნებული არხის ახალი სარედაქციო პოლიტიკა, გეთანხმები შენ რომ აქ მოხვედი ასე, არ იყო, ეხლა შეიცვალა, ეს არის ახალი გარემოებები. მე მინდა რომ შენ იყო სინქრონიზირებული ამ დიდ ორგანიზმთან და არ იყო ამოვარდნილი“
- ა. ც.: „იცი რა მაინტერესებს ჩვენ არ შეგვიცვლია გაშუქების სტილი და აქამდე თუ არ იყო პრობლემა და მაინცდამაინც ეს ერთი კონკრეტული გაშუქება ან ორი კონკრეტული გაშუქება ეხლა რატომ გახდა მართლა მაინტერესებს“
- ბ. ლ.: „ხოდა მაგას გიხსენი აქამდე არ იყო არხი ამ გზაზე“... მე მუდმივად მიწევდა თქვენი გადაცემის დაცვა... მე მჭირდება ამ ერთიან მთლიან ორგანიზმში ინტეგრირებული, ჰარმონიული კომპონენტი და არა დისონანსის შემქმნელი. შიდა კორპორატიული აზროვნებისთვისაც ეგ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენებიც ხომ უყურებენ გადაცემას? ეხლა ქრონიკა სხვა გზით მიდიოდა და შენ.. არ გამოვა ეგრე, ხო ხედავები“.
- ა. ც.: „ქრონიკის ნაწილი არ არის იდეაში ეს გადაცემა საერთოდ და მე მგონია, რომ ზუსტად „მაესტროს“ სარედაქციო პოლიტიკიდან საერთოდ არ არის ამოვარდნილი“
- ბ. ლ.: „მაესტროს“ სარედაქციო პოლიტიკა დიამეტრალურად იცვლება. მაესტროს სარედაქციო პოლიტიკა სრულ სინქრონიზაციაში მოვა „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკასთან“

- ა. ც.: „მთავრობა რო არ გვეხსენებინა და ისე გაგვეშუქებინა რომ ინფლაცია გვიუფასურებს გაზრდილ ხელფასებს პრობლემა არ არის“
- ბ. ლ.: „არ არის....მთავარია შენი პოზიციონირება, ამ ფრაზაში შენ არ არის იქეთ გადადგმული ნაბიჯი, უფრო აქეთ არის“
- ა. ც.: „პარგი“
- ბ. ლ.: „ამიტომ, მაგას გთხოვ მეტს არაფერს, შენ შეეცადე რომ ეს გააცნობიერო რაც მე ვითხარი.“
- ა. ც.: „შევეცდები, აუცილებლად შევეცდები“
- ბ. ლ.: „ერთი მიმართულებით უნდა იტრიალოთ ყველამ, ნუ ყოველ შემთხვევაში ეს ერთი წელი მაინც“
- ა. ც.: „თუ შევძლებ ამ მიმართულებით სიარულს ვივლი, თუ არადა გაგეცლებით, თქვენ იარეთ“
- ბ. ლ.: „კი გენაცვალე“.

2020 წლის 13 იანვარი

ა. ც.-ს განმარტებით, ნ. ლ. ტელეფონით დაუკავშირდა მას კონკრეტული სიუჟეტის³ გაშვების აკრძალვის მოთხოვნით. ა. ც. აღნიშნავს, რომ მან განუმარტა ნ. ლ.-ს, რომ მისთვის არ იყო მნიშვნელოვანი ვინ ინერვიულებდა აღნიშნული თემის გაშუქების გამო. *მომზადებული სიუჟეტი ეთერში გავიდა. სატელეფონო საუბრის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.*

2020 წლის 19 თებერვალი - გაიმართა ორი შეხვედრა

გადაცემის დახურვის თაობაზე ინფორმაცია ა. ც.-ს დაუდასტურა „ტელეიმედის“ დირექტორის მოადგილემ - *ბ. ლ.-მ* მიზნად განუცხადეს - „მაესტროს“ ფორმატის ცვლილება, კერძოდ, იცვლებოდა სატელევიზიო ბადე და რეგიონებზე გადადიოდა. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება **1 მარტიდან გადაცემა „ბიზნესის“ დახურვის შესახებ.**⁴ ბ. ლ.-მ ა. ც.-ს უთხრა, რომ ნ. ლ. ესაუბრა რ. ს.-ს⁵ და ჰქონდათ მოლოდინი რომ რ. ს. მათ ინფორმაციას მიაწვდიდა. ბ. ლ.-მ აღნიშნა, რომ მათ ვერ დაუშვეს, თუ რ. ს. რედაქციის ჯგუფს გადაცემის დახურვის შესახებ ინფორმაციას არ მიაწვდიდა. ***ა. ც.-ს განმარტა, რომ აღნიშნული არ გულისხმობდა თანამშრომლების გათავისუფლებას.*** ბ. ლ.-მ ა. ც.-ს უთხრა, რომ მათ სურთ „ტელეიმედში“ ახალი ბიზნეს გადაცემის გაკეთება, თუმცა, კონკრეტულად ვინ იქნება ახალი გადაცემის წამყვანი, პროდიუსერი და ავტორი არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

ბ. ლ. აღნიშნავს, რომ თუ რ. ს. „ბიზნესის“ რედაქციის ხელმძღვანელობიდან წავიდოდა, მათ მოუწევთ „ბიზნესის“ რედაქციის ახალი ხელმძღვანელის მოძიება. რედაქციის ერთ-ერთი წევრის კითხვაზე რატომ გაიგეს *ერთი კვირით ადრე გადაცემის დახურვის შესახებ ნ. ლ. განმარტავს, რომ ის დაინიშნა (წინა სამშაბათს - 11 თებერვალს) და მან მიიღო გადაწყვეტილება „მაესტროს“ ფორმატის შეცვლის შესახებ და დაჩქარდა მოვლენები.* ბ. ლ.-მა განმცხადებლებს განუმარტა, რომ ახალ გადაცემას გეგმავდნენ „ტელეიმედზე“ და იქ დასჭირდებოდათ მათი რესურსები. ***ა. ც.-მ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მათ კონტრაქტებს ვადა მათში ეწურებოდა. ნ. ლ.-მა განმარტა, რომ მათი კონტრაქტები ავტომატურად გაგრძელდებოდა.*** შეხვედრაზე ბ. ლ.-მა ასევე აღნიშნა, რომ ახალი გადაცემა უნდა მომზადებულიყო მაისამდე. საბოლოო პასუხისათვის ბ. ლ.-მა ***25 თებერვალამდე მოითხოვა ვადა. ასევე განმარტა, რომ თუ განმცხადებლები მის შეთავაზებას არ დათანხმდებოდნენ, მაშინ მათი კონტრაქტები არ შეწყდებოდა ვადაზე ადრე და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა სხვა სამსახური მოეძებნათ.***⁶

2020 წლის 25 თებერვალი⁷

³ *შენიშვნა:* სიუჟეტი ეხებოდა მალივის საზავიროს თემას.
⁴ *შენიშვნა:* პირველ შეხვედრას ესწრებოდა ა. ც., „იმედის“ ადამიანური რესურსების HR წარმომადგენელი და „ტელეიმედის“ დირექტორის მოადგილე - ბ. ლ.
⁵ *შენიშვნა:* „ბიზნესის“ რედაქციის ხელმძღვანელი.
⁶ *შენიშვნა:* მეორე შეხვედრაზე „ბიზნესის“ სარედაქციო გუნდი შეხვდა ტელეკომპანიის დირექტორს - ნ. ლ.-ს.
⁷ *შენიშვნა:* „ბიზნესის“ რედაქციის წევრების შეხვედრა ტელეკომპანიის დირექტორთან ნ. ლ.-თან.

შეხვედრაზე ნ. ლ.-მა განმარტა, რომ „არა ნაცების“ დაბრუნების მისია არ გამოირიცხავს მთავრობის კრიტიკას. ნ. ლ.-მა განმცხადებლებს განუმარტა, რომ მათზე მწვავედ აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“, თუმცა, კრიტიკა უნდა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს. მისი განმარტებით, „ტელეიმედი“ ყველაზე მეტად დაზარალდა ნაციონალური მოძრაობის დროს და არხის დამფუძნებელი შეეწირა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლას.

განმცხადებლებმა ნ. ლ.-ს შესთავაზეს განეხილათ წინადადება ახალი გადაცემის დაწყებამდე - 16 მარტამდე გაეგრძელებინათ „მაესტროზე“ გადაცემის წაყვანა; აღნიშნულის პასუხად ლ. განმცხადებლებს დაპირდა, რომ აღნიშნულ საკითხს განიხილავდა „მაესტროს“ ხელმძღვანელობასთან და პასუხს მოგვიანებით აცნობებდა.

2020 წლის 26 თებერვალი⁸

ახალ გადაცემაში ყველას გამოემტკიცებოდა ფუნქცია, თუმცა, არა იმ მდგომარეობით, როგორც გადაცემის დახურვამდე იყო. საუბრის ჩანაწერი წარმოდგენილი არ არის. განმცხადებლები განმარტავენ, რომ იმავე საღამოს ა. ც.-მ მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა „ტელეიმედის“ დირექტორს - ნ. ლ.-ს, რომელზეც პასუხი არ მიუღია.⁹

2020 წლის 27 თებერვალი

განცხადების თანახმად, „ტელეიმედის“ HR-ის მოთხოვნით შეხვედრა შედგა ახალი გადაცემის მომავალ წამყვანთან - გ. ნ.თან და ჟურნალისტებმა ვერ მიიღეს სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობის გარანტია. საუბრის ჩანაწერი წარმოდგენილი არ არის.

2020 წლის 28 თებერვალი

„მაესტროზე“ გავიდა „ბიზნესის“ ბოლო გადაცემა და ა. ც.-მ გააკეთა განცხადება გადაცემის დახურვისა და სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაში ჩარევის შესახებ. 28 თებერვალს ა. ც.-მ ელექტრონული შეტყობინება გაუგზავნა ნ. ლ.-ს რათა გარკვეულიყო გადაცემა „ბიზნესის“ შემდგომი საქმიანობის საკითხი.

2020 წლის 13 მარტი¹⁰

რ. ს. დაინიშნა „ტელეიმედის“ გენერალური დირექტორის კონსულტანტად. „ბიზნესის“ რედაქციის ხელმძღვანელად დაინიშნა გ. ნ.-ი. შეხვედრაზე ერთ-ერთი განმცხადებელმა იკითხა იქნებინათ თუ არა თავისუფალი ჟურნალისტები. გ. ნ.-მა განუმარტა, რომ ეს რიტორიკული შეკითხვაა და აღნიშნა, რომ მის თავისუფლებაში არავინ ერევა. შეხვედრაზე განმცხადებლები მოითხოვეს, წერილობითი შეთანხმების დადება და გარანტია, რომ მათი ჟურნალისტური საქმიანობაში არ ჩაერევიან. გ. ნ.-მა განმცხადებლებს განუმარტა, რომ მსგავსი შინაარსის ჩანაწერი კონტრაქტში არ აისახება. განმცხადებლებს დაპირდნენ, რომ 16 მარტისთვის სამუშაო აღწერილობებს გაუგზავდნენ. ა. ც. აღნიშნავს, რომ მისი ფუნქციები არსებითად შეიცვალა, თუმცა გ. ნ.-მა უპასუხა, რომ ეს საკითხი არის ინდივიდუალურ ფორმატში გადასაწყვეტი იყო.

2020 წლის 17 მარტი - გაიმართა ორი შეხვედრა

⁸ შენიშვნა: განმცხადებლების განმარტებით, 26 თებერვალს შეხვედრა შედგა „ტელეიმედის“ დირექტორის მოადგილესთან - მ. ლ.-თან.

⁹ შენიშვნა: „ბატონო ნ., როგორც გავარკვიეთ, 16 მარტამდე დაიჯესტის გარდა არაფერი არ არის გათვალისწინებული ბიზნესის ჩანაცვლების თვალსაზრისით მაესტროს ბადეში. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვითხოვ, გუნდის სახელით, რადგან 16 მარტამდე არ გვაქვს ალტერნატივა, იქნებ ამ დრომდე მაინც დავტოვოთ ბიზნესი ეთერში როგორც არის ამ სახით“.

¹⁰ შენიშვნა: შეხვედრა გაიმართა „ბიზნესის“ რედაქციის წევრებისა და გენერალური დირექტორის მოადგილის - მ. ლ.-ს, „ბიზნესის“ რედაქციის ახალ ხელმძღვანელის - გ. ნ.-ს და „ტელეიმედის“ HR-ის მონაწილეობით.

ვინაიდან, 16 მარტს განმცხადებლებს არ მიაწოდეს სამუშაო აღწერილობები, ა. ც.-მ 17 მარტს ელ-ფოსტაზე მისწერა ნ. ლ.-ს, თუმცა, გაგზავნილ შეტყობინებაზე განმცხადებელს პასუხი არ მიუღია.¹¹ გ. ნ.-მა განმცხადებლებს განუმარტა, რომ თუ თანამშრომლები უარს განაცხადებენ მუშაობაზე ის ხელმძღვანელობას შეატყობინებდა, რომ თანამშრომლები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და მოითხოვდა ადმინისტრაციული ზომების გატარებას.¹² ა. ც.-მ გ. ნ.-ს განუმარტა, რომ სანამ მისი სამსახურებრივი ფუნქციები უცნობია, ის ვერ იმუშავებდა. გ. ნ.-მა კი ც.-ს განუმარტა, არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაეგრძელებინათ მუშაობა ახალ ფორმატში, ან ჰქონდა ამის სურვილი, ან არა. ა. ც.-მ გ. ნ.-ს განუმარტა, რომ ის მზად იყო ეკეთებინა ის რასაც აკეთებდა, იმ პირობებით, რა პირობებითაც მუშაობა დაიწყო და არ განიხილავდა არანაირ ცვლილებას.¹³

1.2. მოპასუხე - „ტელეიმედი“ პოზიცია

მოპასუხის 2020 წლის 8 ივნისის პასუხში აღნიშნულია, რომ შპს „სტუდია მაესტროს“ სამაუწყებლო ეთერში განთავსებული გადაცემის „ბიზნესი“, ისევე, როგორც აღნიშნული მაუწყებლის ეთერში სხვა გადაცემების დამზადების, ეთერში განთავსების და მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას მისი სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში იღებს შპს „სტუდია მაესტრო“, რომლის დაკვეთითაც გადაცემის ეთერში განთავსებისათვის საჭირო ღონისძიებების ნაწილს ასრულებდა შპს „ტელეიმედი“. მოპასუხის განმარტებით, შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა სამაუწყებლო ბადის რეორგანიზაციის შედეგად, თუმცა, საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები არის შპს „სტუდია მაესტრო“.

პასუხში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ რაც „სტუდია მაესტროს“ მიმართვის საფუძველზე შპს „ტელეიმედი“ შეაჩერა მაესტროზე განთავსებული გადაცემის „ბიზნესი“ წარმოება, განმცხადებელთა მიერ შესასრულებელი სამუშაოები განისაზღვრა მათთან არსებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, კერძოდ, ა. ც.-სთან და ნ. კ.-სთან არსებული ხელშეკრულების თანახმად, ეს უკანასკნელნი შეასრულებდნენ საინფორმაციო პოლიტიკური ქვედანაყოფის ბიზნესს რედაქციის პროდიუსერის ფუნქციებს, ხოლო მ. მ. და ნ. შ. რედაქციის ჟურნალისტის ფუნქციებს. რაც შეეხება გ. ბ.-ს, მას შპს „ტელეიმედთან“ ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონია და იგი მაესტროს დასაქმებულს წარმოადგენდა.

მოპასუხის განმარტებით, მათ არც კი განუხილავთ განმცხადებლებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის, ანაზღაურების ან/და სხვა რომელიმე პირობის გაუარესება და პირიქით დაგეგმილი იყო მათი აქტიური ჩართვა სამომავლოდ შესაქმნელი გადაცემების მომზადებაში. აღნიშნულ პირებთან გაიმართა არაერთი შეხვედრა, არაერთგზის დაფიქსირდა „იმედის“ პოზიცია მათთან აქტიური თანამშრომლობის სურვილის შესახებ, თუმცა შეხვედრებმა ნაცვლად საქმიანი ურთიერთობისა, უფრო მეტად საბრალოდ სხდომების ხასიათი მიიღო, სადაც შეუძლებელი გახდა პრაქტიკული სამუშაოსათვის მოსამზადებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. საბოლოოდ კი განმცხადებლებმა პირადი

¹¹ შენიშვნა: ელექტრონული შეტყობინებით, განმცხადებელი ითხოვს „ბიზნესის“ თანამშრომლების შრომის აღწერილობას შესაბამისი სამუშაოს მითითებით. ასევე, ინფორმაციის მიწოდებას იცვლება თუ არა ხელშეკრულების არსებითი პირობები.

¹² შენიშვნა: შეხვედრა გაიმართა „ბიზნესის“ რედაქციის წევრებსა და ბიზნესის რედაქციის ახალ ხელმძღვანელს - გ. ნ.-ს შორის.

¹³ შენიშვნა: შეხვედრა შედგა ა. ც. და „ბიზნესის“ რედაქციის ახალ ხელმძღვანელს - გ. ნ.-ს შორის.

განცხადების საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტეს ხელშეკრულებები.

ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი აუდიო ფაილები მოპოვებულია პირთა თანხმობისა და მათი წინასწარი ინფორმირების გარეშე, რაც ადასტურებს მათ უკანონობას. ასევე, საქმეში არ არის წარმოდგენილი დასკვნა მათი ავთენტურობის შესახებ და სახალხო დამცველის აპარატისგან ითხოვეს პოზიციის დაეფიქსირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მოპასუხემ 2020 წლის 17 აგვისტოს ასევე მოგვანოდა განმცხადებლებთან გაფორმებული შრომით-სამართლებრივი ხელშეკრულებები.

1.2.1 მესამე პირების - მ. ლ.-ს და გ. ნ.-ს ახსნა-განმარტებები

მ. ლ. და გ. ნ. 2020 წლის 8 ივნისის წერილობითი კორესპონდენციით განმარტავენ, რომ აუდიო ჩანაწერები უკანონოა, რადგან მასში მონაწილე პირები არ ყოფილან ინფორმირებული ჩაწერის შესახებ და ასევე არ იყო მათი თანხმობა მოპოვებული.

წერილობით პასუხში მხარეები განმცხადებლებთან გამართულ შეხვედრებთან მიმართებით განმარტავენ, რომ მას შემდეგ რაც „სტუდია მაესტროს“ მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გადაცემის „ბიზნესი“ ეთერში განთავსების შეწყვეტის შესახებ და გამოთავისუფლდა ადამიანური რესურსი, რომელიც შპს „სტუდია მაესტროს“ დაკვეთით მიმართული იყო აღნიშნული გადაცემის წამოებისკენ, მიეცათ შპს „ტელეიმედის“ ეთერში ახალი ბიზნეს გადაცემის განთავსების და მასში განმცხადებელთა ჩართვის შესაძლებლობა. შეხვედრები მიმართული იყო კონკრეტული სამუშაო ღონისძიებების დაგეგმვისკენ, თუმცა, სამწუხაროდ, შეხვედრები წარიმართა დაუსაბუთებელი ბრალდებების ფონზე და განმცხადებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება პირადი განცხადების საფუძველზე შპს „ტელეიმედთან“ არსებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

1.2.2 შპს „სტუდია მაესტროს“ პასუხი

2020 წლის 17 ივლისის პასუხის თანახმად, გადაწყვეტილება ხსენებული გადაცემის განთავსების შეწყვეტის შესახებ მიიღო შპს „სტუდია მაესტროს“ მათი სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში, რაც წარმოადგენდა სამაუწყებლო ბადის განახლების პროცესის ნაწილს, კერძოდ, არხმა მეტი ყურადღება დაუთმო რეგიონული ამბების გაშუქებას, რაც ბუნებრივია მოითხოვდა ბადეში დათმობებს, როგორც დროის, ასევე რესურსების ნაკლებობის გამო.

განმცხადებლების სამსახურის იძულებით დატოვებასთან დაკავშირებით პასუხში აღნიშნულია, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ შპს „სტუდია მაესტროს“ დასაქმებულებს და გადაცემა მათი დაკვეთით მზადდებოდა შპს „ტელეიმედის“ მიერ, მისივე რესურსებით, შესაბამისად, მათთვის უცნობია განმცხადებლებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

1.3. განმცხადებლის დამატებითი პოზიცია

2020 წლის 29 ივნისს და 14 აგვისტოს განმცხადებლებმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინეს დამატებითი განცხადებები და აღნიშნეს რომ გადაცემის დახურვის

ფორმალური საფუძვლის უკან იდგა ჟურნალისტებისათვის სარედაქციო დამოუკიდებლობის შეზღუდვის მიზანი. ასევე შესაძლოა ფორმალურად გადაცემის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება „მაესტრომ“ მიიღო, თუმცა, რეალურად აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა „ტელეიმედის“ ხელმძღვანელის - ნ. ლ.-ს მიერ, რასაც ადასტურებს აუდიო ჩანაწერი, სადაც ის აღნიშნავს, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება გადაცემა „ბიზნესის“ დახურვის შესახებ.

2020 წლის 14 აგვისტოს დამატებით განცხადებაში მითითებულია, რომ „მაესტროს“ გენერალურმა პროდიუსერმა ვ. ა.-მა განმცხადებლებს უთხრა, რომ მას ძალიან სურდა გადაცემა „ბიზნესის“ შენარჩუნება ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, თუმცა ის „ხელ-ფეხშეკრული“ იყო და გადაწყვეტილებას არ იღებდა. ამასთან, ახალ წლამდე ორი თვით ადრე, ვ. ა.-მა განმცხადებლებს სთხოვა, ახალი წლის შემდეგ გაეზარდათ გადაცემა „ბიზნესის“ საეთერო დრო და დაემატებინათ ახალი პროექტი, რომელიც 12:00 სთ-დან 14-სთ-მდე საეთერო ბადეში განთავსდებოდა.

სამაუწყებლო ბადის განახლების მოტივით გადაცემის დახურვასთან მიმართებით, დამატებით განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდისათვის მხოლოდ მათი გადაცემა დაიხურა. ამასთან, ბადის განახლებას კომპანიები აწარმოებენ ზაფხულის განმავლობაში და საეთერო ბადე მაყურებლისათვის მზადდება სექტემბრის თვიდან, რაც დამატებით ეჭვის საფუძველს წარმოადგენს და გადაცემის დახურვას საეთერო ბადის ცვლილებასთან კავშირი არ ჰქონია.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ დამატებით განცხადებებთან დაკავშირებით, 2020 წლის 18 სექტემბრის წერილობით კორესპონდენციაში „ტელეიმედმა“ აღნიშნა, რომ დამატებით განცხადებას, მითითებულ გარემოებებსა და დასკვნებს არ ეთანხმებიან.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (კონსტიტუციის ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹⁴

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე. ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.¹⁵

2.2. აუდიო ჩანაწერების დასაშვებობა

როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი აუდიო ფაილები მოპოვებულია პირთა თანხმობისა და მათი ინფორმირების გარეშე და არ არის წარმოდგენილი დასკვნა მათი ავთენტურობის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე კანონდარღვევით მოპოვებული (ფარული აუდიო ჩანაწერი) მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე. უზენაესი სასამართლოს განმარტებით:

„კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.“¹⁶

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ

¹⁵ ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60.

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ. №ას-1155-1101-2014).

ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.¹⁷

დისკრიმინაციის საქმეები, როგორც წესი, გამოირჩევა ფარულობითა და პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების სირთულით; მსგავსს შემთხვევებში, ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლისთვის, შესაძლოა, უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება იყოს. სახალხო დამცველი ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ განმცხადებლებთან მიმართებით, „ტელეიმედის“ დირექტორი და დირექტორის მოადგილე წარმოადგენენ ძალაუფლების ბერკეტების მქონე პირებს, შესაბამისად, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონვის გზით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი განმცხადებელთა მიერ მათ მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერები.

2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. განსახილველ შემთხვევაში, ა. ც.-ს ჩამოერთვა გადაცემის წამყვანის ფუნქცია, შესაბამისად, სახალხო დამცველი შეაფასებს, მოხდა თუ არა განმცხადებლის შრომის უფლებაში ჩარევა მის მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულების გამო.

სახალხო დამცველი დანარჩენ განმცხადებლებთან - ნ. კ., მ. მ., ნ. შ. და გ. ბ. - მიმართებით აღნიშნავს, რომ მათ შემთხვევაში შრომის უფლებაში ჩარევას შრომითი პირობების გაუარესების გზით „ტელეიმედის“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მათ არსებული შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში უნდა გაეგრძელებინათ საქმიანობა, ხოლო გ. ბ. არ წარმოადგენდა „ტელეიმედის“ მიერ დასაქმებულ პირს.¹⁸ აღსანიშნავია, რომ „ტელეიმედს“ სხვა განმცხადებლებისგან განსხვავებით სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებია გ. ბ.ს გათავისუფლების თაობაზე გამოცემული ბრძანება. შესაბამისად, აღნიშნული პირების შრომის უფლებაში ჩარევის გარეშე შეუძლებელია მათი შესაძლო დისკრიმინაციის საკითხის განხილვა.

¹⁷საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ. №ას-1155-1101-2014).

¹⁸ *შენიშვნა:* „სტუდია მანეტროს“ 2020 წლის 28 სექტემბრის კორექსონდენციით დასტურდება, რომ 2019 წლის 16 აპრილს 12 თვით ხელშეკრულება გაფორმდა შპს „სტუდია მანეტროს“ და გ. ბ.-ს შორის.

ამდენად, წინამდებარე გადაწყვეტილებით შეფასდება მხოლოდ ა. ც.-სთვის გადაცემის წამყვანობიდან ჩამოშორების საკითხი.

შრომის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით (*ახალი რედაქციით 26-ე მუხლი*) დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.¹⁹

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას; მე-7 მუხლით კი გარანტირებულია თითოეული ადამიანის უფლება ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები.²⁰

ევროპის სოციალური ქარტიის V ნაწილის თანახმად, ქარტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა დაცულია დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ჯანმრთელობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, დაბადების ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.²¹

დისკრიმინაციას კრძალავს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსიც“, რომლის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, **დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.**

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე.²²

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება, II, 19.

²⁰ საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1483577>;

²¹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორების) და მისი დანართის თაობაზე, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N1876 დადგენილებით <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43174>;

²² „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს სრულფასოვნად განხორციელების უფლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა, რომელზეც, განსახილველ შემთხვევაში, უარი ეთქვა ა. ც.-ს.

2.4. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.²³ თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.²⁴

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.²⁵

განსახილველ შემთხვევაში, ა. ც. იყო ერთადერთი პირი, რომელსაც მიჰყავდა გადაცემა „ბიზნესი“. ამდენად, სახალხო დამცველი გამოიყენებს ჰიპოთეტურ კომპარატორს, რომელიც განისაზღვრება თანაბარი მოპყრობის სტანდარტის საფუძველზე²⁶ და იმსჯელებს, იმ შემთხვევაში, განმცხადებელს ან თეორიულად, მის ადგილას მყოფ სხვა პირს, რომ არ გამოეხატა განსხვავებული მოსაზრებები, ეტყოდნენ თუ არა უარს მას გადაცემის წამყვანობაზე.

2.5. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანახომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.²⁷

მოპასუხის განმარტებით, ა. ც.-ს მიერ შესასრულებელი სამუშაოები განისაზღვრა მასთან არსებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, კერძოდ, ა. ც. არსებული ხელშეკრულების თანახმად, შეასრულებდა ბიზნესს რედაქციის პროდიუსერის ფუნქციებს. ამდენად, მოპასუხე საერთოდ გამორიცხავს განმცხადებლის შრომის უფლებაში ჩარევას.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1.

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19.

²⁶ European Network of Legal Experts in the non-discrimination field, European Anti-discrimination Law Review, No. 15- 2012, გვ . 27, ხელმისაწვდომია: <https://www.equalitylaw.eu/downloads/2527-law-review-15> .

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15.

ა. ც. კი განმარტავს, რომ იყო არა მხოლოდ „ბიზნესის“ რედაქციის აღმასრულებელი პროდიუსერი, არამედ ასევე გადაცემა „ბიზნესის“ წამყვანი; საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ა. ც.-სთან ხელშეკრულება „ტელეიმედმა“ გააფორმა 2017 წლის 1 მაისს ბიზნეს რედაქციის პროდიუსერის თანამდებობაზე 1 წლით. 2018 წლის 1 მაისს შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა 1 წლის ვადით და მოქმედებდა 2019 წლის 1 მაისამდე. 2018 წლის 1 მაისს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების მე-4 პუნქტის თანახმად:

„[...]შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, შრომითი ხელშეკრულება და მისი ყველა პირობა ავტომატურად გაგრძელდება ჩითვლება მომდევნო 12 თვის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რომელიმე მხარე წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე სულ მცირე 2 სამუშაო დღით ადრე საწინააღმდეგოს არ აცნობებს მეორე მხარეს. აღნიშნული პირობა მოქმედებს ყოველ მომდევნო ჯერზე.“

ვინაიდან, მოპასუხეს სახალხო დამცველისათვის არ მოუწოდებია სხვა შრომითი ხელშეკრულებები, იგულისხმება რომ მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა ამ პირობის საფუძველზე გაგრძელდა 2020 წლის 1 მაისამდე.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის 4 პუნქტის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ა. ც. დასაქმებული იყო 2017 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 1 აპრილამდე, შესაბამისად, იგი წარმოადგენდა უვადოდ დასაქმებულ პირს - ვინაიდან, ჯამში, დასაქმებული იყო 35 თვით.

მართალია, მოპასუხე ადასტურებს, რომ ა. ც.-ს შესთავაზა არსებული ხელშეკრულების თანახმად ურთიერთობის გაგრძელება - ანუ იგი იქნებოდა ახალი გადაცემის პროდიუსერი, თუმცა, აღარ იქნებოდა გადაცემის წამყვანი. საგულისხმოა, რომ მოპასუხე არ უარყოფს, რომ ა. ც. წარმოადგენდა გადაცემა „ბიზნესის“ წამყვანს. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ა. ც. იყო არა მხოლოდ გადაცემა „ბიზნესის“ პროდიუსერი, არამედ გადაცემის წამყვანიც.

ა. ც.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შესაძლებელია დასაქმებულის მოვალეობები გაიზარდოს ან შემცირდეს ურთიერთშეთანხმებით, რის თაობაზეც დასაქმებულს ეცნობება დამატებით (ქვეპუნქტი 3.2.2.2.);

შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა: თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა. იქედან გამომდინარე, რომ ა. ც. „ტელეიმედთან“ შეთანხმებით 2017 წლიდან პროდიუსერობასთან ერთად, ასრულებდა გადაცემა „ბიზნესის“ წამყვანის მოვალეობას, წამყვანის ფუნქციის დამატებით, ა. ც.ს მოვალეობა გაიზარდა. ამდენად, პროდიუსერობასთან ერთად, წამყვანის ფუნქციაც როგორც თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე/აღწერილობა მიჩნეულ უნდა იქნას ხელშეკრულების არსებით პირობად.

შრომის კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

ა. ც. არ იყო თანახმა შეცვლილიყო ხელშეკრულების არსებითი პირობები. აღნიშნულს ადასტურებს, 17 მარტს ნ. ლ.-თან გაგზავნილ ელექტრონულ შეტყობინება, რომელშიც ა. ც. აღნიშნავს, რომ ის გადაცემის პროდიუსერი და წამყვანია და ითხოვს ინფორმაციის მიწოდებას იკვლება თუ არა ხელშეკრულების არსებითი პირობები, რაზეც პასუხი არ მიუღია. ასევე, ერთ-ერთ შეხვედრაზე ა. ც.-მ აღნიშნა, რომ ის არ განიხილავს არანაირ ცვლილებას.

ამდენად, კანონმდებლობის და ა. ც.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ „ტელეიმედი“ არ იყო უფლებამოსილი ცალმხრივად შეეცვალა ხელშეკრულების არსებითი პირობა და განმცხადებელთან შეთანხმების გარეშე უარი ეთქვა მისთვის ყოფილიყო გადაცემის წამყვანი. კერძოდ, აღნიშნულს კრძალავს, როგორც შრომის კოდექსის მე-20 მუხლი, ასევე ა. ც.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების 3.2.2.2. პუნქტი.²⁸

შემდეგ ეტაპზე სახალხო დამცველი იმსჯელებს წამყვანის პოზიციიდან ა. ც.-ს ჩამოშორება უკავშირდება თუ არა მის განსხვავებულ მოსაზრებებს.

განსხვავებული მოსაზრება, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ჩამოთვლის დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, რომელთა შორისაც ვხვდებით სხვა შეხედულებას როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც (დისკრიმინაციის აკრძალვა) ექსპლიციტურად გამოყოფს სხვა შეხედულებას და მიიჩნევს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად. განმცხადებელმა გამოხატა არაერთი მოსაზრება, რომელიც არ ემთხვეოდა კომპანიის ხედვებს.

მაგალითად: სახალხო დამცველის შეფასებით, 2019 წლის 24 დეკემბერს მხარეთა შორის არსებული კომუნიკაცია სარედაქციო პოლიტიკის თაობაზე, ცალსახად მიუთითებს მხარეთა განსხვავებულ დამოკიდებულებებს,²⁹ კერძოდ, ა. ც. ღიად და არაორაზროვნად ეუბნება ნ. ლ.-ს, რომ ის თემებს გააშუქებს იმგვარად, როგორც მას მიაჩნია თავისი პროფესიული განათლებიდან გამომდინარე და ამ მიმართულებით ცვლილებებს არ გეგმავს; ამასთან განმარტავს, რომ არ იტყვის ტყუილს და მისთვის გაუგებარია რატომ უნდა იბრძოდნენ

²⁸ შენიშვნა: აღნიშნული პუნქტის სახელწოდებაა - შესასრულებელი სამუშაოს სახე და ძირითადი მოვალეობები.

²⁹ მაგალითად, შემდეგი ფრაზები: **ნ. ლ.** არ შეიძლება თქვა რომ შენ არ ხარ ფრონტის ხაზზე, როცა შენი ჯარი, მე ვარ შენი ჯარი, ჩვენ „იმედი“ ვართ ერთი გუნდი, ჩვენ თუ ვომობთ, შენ თქვა მე არ ვომობ - ეგ არის დეზერტირობა, მაგას ჰქვია დეზერტირობა; მე მუდმივად მიწევდა თქვენ გადაცემის დაცვა... მე მჭირდება ამ ერთიან მთლიან ორგანიზმში ინტეგრირებული, ჰარმონიული კომპონენტი და არა დისონანსის შემქმნელი; მე მესმის რომ მაშინ ამას არავინ შემოგთავაზებდა, მაშინ არ იყო ომი, ომი ეხლა დაიწყო; სამწუხაროა, ანუ შენ კორპორატიული სოლიდარობა არა გაქვს; მე შენ აგისხენი რა არის შენი არხის მისია და ამ მისიაზე არის დაფუძნებული არხის ახალი სარედაქციო პოლიტიკა, ვეთანხმები შენ რომ აქ მოხვედი ასე, არ იყო, ეხლა შეიცვალა, ეს არის ახალი გარემოებები. მე მინდა რომ შენ იყო სინქრონში მთელ ამ დიდ ორგანიზმთან და არ იყო ამოვარდნილი; ერთი მიმართულებით უნდა იტრიალოთ ყველამ, ნუ ყოველ შემთხვევაში ეს ერთი წელი მაინც.

ა. ც.: ჩვენ არ ვართ ფრონტის ხაზზე; მაშინ სხვადასხვა რაღაცას ვფიქრობთ ესე გამოდის; „კი, ოღონდ იმედის ნაწილი გავხვდი არა იმიტომ რომ ვილაგამ თავის დროზე დამასაქმა, რომ რაღაც ბრძოლაში უნდა ჩავბმულიყავი, დამასაქმა ჩემი პროფესიული სქილების ხარჯზე და იმ პროდუქტის საკეთებლად რასაც ვაკეთებ. შემგონი ცუდად არ ვაკეთებ; ჩემთვის ოფერი, რომ რამე ომში უნდა ჩავბმულიყავი არ ყოფილა, ეს არის პირველი დღეს, მოდი გადავწყვიტოთ მინდა თუ არა ვიომო; მარტივად ვიტყვი რა, მე არაფერს არ გავაპრავებ არასდროს, არც ოპოზიციურს და არც არა პოზიციურს, გავაშუქებ ყველაფერს ისე, როგორც სწორად მიმაჩნია ჩემი ეკონომიკური-ჟურნალისტური განათლებიდან და ამ მიმართულებით გარკვეულ ცვლილებებს არ ვგეგმავ; ჟურნალისტები რატომ უნდა იბრძოდნენ შეიძლება გავიგოს; არ ვიტყვი არასდროს ტყუილს; თუ შევძლებ ამ მიმართულებით სიარულს ვივლი, თუ არადა გაგეცლებით, თქვენ იარეთ;

ჟურნალისტები; ასევე ნ. ლ.-ს ეუბნება, რომ ის „ფრონტის ხაზზე“ არ იმყოფება და არც ბრძოლას აპირებს.

საქმეში არსებული მასალები ადასტურებენ განმცხადებლის ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ორ ინციდენტს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, 2019 წლის 24 დეკემბერს, ნ. ლ. განმცხადებელს ეუბნება, რომ თითო სიტყვაც კი შეიძლება დესტრუქციული იყოს არხის სარედაქციო პოლიტიკასთან და აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოიყენა სიუჟეტი - „ინფლაციის ეფექტი“. განმცხადებლის კითხვაზე: „მთავრობა რომ არ გვეხსენებინა და ისე გაგვეშუქებინა ინფლაცია, რომ რეალურად გვიუფასურებს გაზრდილ ხელფასებს, პრობლემა არ არის? ..ნ. ლ. პასუხობს - „არ არი“. აღნიშნული დამოკიდებულება მიანიშნებს იმაზე, რომ განმცხადებელმა თავი უნდა შეიკავოს მთავრობის კრიტიკისგან.

რაც შეეხება მეორე ინციდენტს, იგი შეეხება 2020 წლის 13 იანვარის სატელეფონო ზარს, როდესაც ნ. ლ.-მა ა. ც.-ს მოსთხოვა კონკრეტული სიუჟეტის გაშვების აკრძალვა. მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო საუბრის ჩანაწერი სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი არ არის, აღნიშნული საუბრის არსებობა დასტურდება 25 თებერვალს გამართული შეხვედრიდან. კერძოდ, ერთ-ერთი ჟურნალისტი ეუბნება ნ. ლ.-ს: „*თქვენ თავად რაზეც დარეკეთ, რომ არ გასურდათ რომ გასულიყო ეთერში.. უწყინარი თემა ბაგების საბაგრო*“; საგულისხმოა, ნ. ლ.-ს პასუხი, რომ მას ახსოვს ეს შემთხვევა და არ უარყოფს, რომ აღნიშნულ თემაზე მისი მხრიდან მსგავს ჩარევას ადგილი არ ჰქონდა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ა. ც.-მ ანგარიში არ გაუწია ნ. ლ.-ს მითითებას და სიუჟეტი ეთერში მაინც გავიდა.

გარდა ამისა, 28 თებერვალს, „მაესტროზე“ ბოლო გადაცემის წაყვანისას, ა. ც.-მ აღნიშნა, რომ მისთვის პრიორიტეტული იყო მაყურებლებს მიუკერძოებელი ინფორმაცია ჰქონოდა და ყოველთვის იქნება მიუკერძოებელი ჟურნალისტი.

ეჭვგარეშეა, რომ განმცხადებლის და მისი დამსაქმებლის მიერ გამოხატული მოსაზრებები სარედაქციო პოლიტიკის თაობაზე განსხვავებულია. ასევე, ა. ც. არ ასრულებს ნ. ლ.-ს მითითებას სიუჟეტის გაშვების აკრძალვის თაობაზე. ბოლო გადაცემაში კი ღიად განაცხადა მენეჯმენტის მხრიდან სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის თაობაზე. ამდენად, ა. ც. არ ასრულებდა იმ პოლიტიკას, რომელიც დირექტორის განმარტებით, „ტელეიმედს“ აქვს, შესაბამისად, ა. ც.-მ თავისი გადაწყვეტილებებით და გამოთქმული მოსაზრებით დირექტორისათვის ნათელი გახადა, რომ არ იქნებოდა „ტელეიმედის“ პოლიტიკის გამტარებელი პირი.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებმა ასევე მიმართეს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიას, რომელმაც დაადგინა, რომ „ტელეიმედის“ დირექტორი ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩაერია.³⁰ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დაადგინა, რომ ნ. ლ.-მა დაარღვია ქარტიის მე-2 პრინციპი - *დაუშვებელია ჟურნალისტის*

³⁰ დეტალურად იხ. <https://bit.ly/2HHHhJz>.

იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

სახალხო დამცველი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირველი საუბრის გამართვიდან (2019 წლის 24 დეკემბერი) მალევე დაიხურა გადაცემა „ბიზნესი“ (2020 წლის 19 თებერვალი) და ა. ც.-სთვის, ფუნქციური ცვლილებით, გადაცემის წამყვანობიდან ჩამოშორება დროში დაემთხვევა მისი მხრიდან გამოხატულ განსხვავებულ მოსაზრებებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ 19 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე ნ. ლ. ამბობს, რომ მან შეიძლება ისეთი ადამიანი შეარჩიოს, ვინც ურჩევნია. ამავე შეხვედრაზე ჟურნალისტი ნ. ლ.-ს ეკითხება „შეიძლება სხვა წამყვანს მოიაზრებდეს და არა ა.ს.“, რაზეც ნ. ლ. პასუხობს - „რა თქმა უნდა“... „შეიძლება უკეთესი ვიპოვო“. ამდენად, ნ. ლ. გადაცემის წამყვანად მისთვის მისაღებ პირს მოიაზრებს, იმის მიუხედავად, რომ ა. ც. გადაცემის წამყვანი და უვადოდ დასაქმებული პირია. ამდენად, მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა და დროის პერიოდი სახალხო დამცველს არ აძლევს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, გარდა იმისა, რომ ა. ც.-სთვის გადაცემის წამყვანის ფუნქციების ჩამოშორება, განპირობებული იყო მის მიერ გამოხატული განსხვავებული მოსაზრებების გამო. შესაბამისად, ფაქტების, მტკიცებულებებისა და სამართლებრივი სტანდარტების შეჯერებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „ტელეიმედის“ მხრიდან ა. ც.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა შრომის უფლებაში ჩარევას განსხვავებული მოსაზრებების გამო.

რაც შეეხება სამსახურიდან წასვლის იძულებას, სახალხო დამცველისათვის შეუძლებელია დადასტურებულად იმის თქმა, თუ რის გამო წავიდნენ განმცხადებლები სამსახურიდან - ტელეკომპანიის ხედვებთან შეუთავსებლობის გამო, თუ იმის გამო, რომ ა. ც. აღარ იქნებოდა გადაცემის წამყვანი. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მხარეებმა თავისი ინიციატივით მოითხოვეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ამდენად, ამ ნაწილში სახალხო დამცველი დისკრიმინაციას არ ადგენს.

3. დასკვნა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ა. ც.-ს უფლებაში ჩარევის საფუძველს რეალურად წარმოადგენდა მისი განსხვავებული მოსაზრებები, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა.

შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს შპს „ტელიმედს“:

- მომავალში არ დაუშვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით;
- უზრუნველყოს თანასწორობის პოლიტიკის გატარება შიდა სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,